გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2023-2024 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მშობლებისა და მზრუნველების ინფორმირებულობის დონის ამაღლება მშობლობისა და ბავშვის საჭიროებების ძირითად საკითხებთან დაკავშირებით.

2. **თემატიკა:**

ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამები, ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვზე მავნე ზემოქმედების პრევენცია

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

ავტორი/ინიციატორი - ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“ (**ISC**), მხარდამჭერი - გაეროს ბავშვთა ფონდი (**UNICEF**) და ევროკავშირი, განმახორციელებელი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში (ფართობი - 670.6 კვ.კმ), მისი დასავლეთი საზღვარი გაუყვება შავი ზღვის სანაპიროს (განმუხური, ანაკლია), ჩრდილო-დასავლეთით აფხაზეთის ადმინისტრაციული ზოლი (გალის რაიონი), ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის, აღმოსავლეთით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის, სამხრეთით კი, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიები ესაზღვრება. ზუგდიდი - სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრია.

მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება-დასახლებულობა უშუალოდ დაკავშირებულია მისი მიწების სამეურნეო ათვისების პირობებსა და შესაძლებლობებთან, ამავე დროს, საკუთრივ ქალაქ ზუგდიდის, როგორც შემკრები ცენტრის მზარდ განვითარებასთან. მუნიციპალიტეტის სპეციფიკა არის ისიც, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური ჩასახლების მხრივ, თბილისის შემდეგ ზუგდიდი ყველაზე დიდი ცენტრია. მოსახლეობის სიმჭიდროვითაც ქ. ზუგდიდი სამეგრელოში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა.



2024 წლის მონაცემებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა **სულ 92 900**
ქალაქის მოსახლეობა - 40 100
სოფლების მოსახლეობა - 52 800
მოსახლეობა დევნილთა ჩათვლით - 161 351
ადმინისტრაციული ერთეული - 53
მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის - 339 კმ.

მუნიციპალიტეტის მახასიათებლები:

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;
- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება მერიაში ფუნქციონირებს 2020 წლის 1 სექტემბრიდან, რასაც საფუძვლად დაედო ქვეყანაში „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ ამოქმედება. განყოფილება თავიდანვე დაკომპლექტდა სრულად - 6 სპეციალისტით (ინტერდისციპლინური გუნდი): კოორდინატორი, სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი, ინსპექტორი, სამართლებრივი დახმარებისა და ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტები (ამჟამად ფსიქოლოგის და ინსპექტორის პოზიციები ვაკანტურია). შესაბამისად, გაიზარდა მუნიციპალიტეტის როლი ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში. ახლად შექმნილი სტრუქტურული ერთეულის სპეციფიკურობა განპირობებულია პრევენციული ღონისძიებების აქცენტირებით და ბავშვთან შემხებლობაში მყოფი უწყებებისა თუ საზოგადოების სხვადასხვა სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის დამკვიდრებით. აღსანიშნავია ასევე, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სპეციფიკა. კერძოდ, ზუგდიდი დევნილებით საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტების რიცხვს განეკუთვნება, გამომდინარე მისი გეოგრაფიული მახასიათებლით-გამყოფ ხაზთან მდებარეობით. ამდენად, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა თანაბრად ვრცელდება როგორც ადგილობრივ, ისე დევნილ მოსახლეობაზე, უშუალოდ ბავშვიან ოჯახებზე.

ბავშვის საჭიროებებზე მორგებული ეფექტური პროგრამების განხორციელებაზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ისეთი **შიდა ფაქტორები,** როგორიცაა მოტივირებული, მაღალი კვალიფიკაციის მქონე საჯარო მოხელეებით დაკომპლექტებული სტრუქტურული ერთეული (განყოფილება), ბავშვსა და ბავშვიან ოჯახებზე მორგებული სოციალური და ჯანდაცვის მოქმედი პროგრამების განხორციელების გამოცდილება, რაც კიდევ უფრო გაღრმავდა პროექტში: „მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ბავშვსა და ბავშვიან ოჯახებზე მორგებულ პროგრამირებაში“ ჩართულობით. გარდა გამოწვევების იდენტიფიცირებისა, ზემოხსენებულმა პროექტმა განყოფლებას შესძინა პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის გამოცდილება. შედეგად, გაიზარდა პროგრამების ეფექტურობის ანალიზის შესაძლებლობა. ასევე, მნიშვნელოვანი შიდა ფაქტორებია პროგრამების ოპერირების ფინანსური და ტექნიკური უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიული მდებარეობა, ინფრასტრუქტურის განვითარების მაჩვენებელი, აქტიური ადგილობრივი სამოქალაქო სექტორი და მასთან თანამშრომლობა, მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკა იმ **გარე ფაქტორებს** წარმოადგენს, რომელთაც შეუძლიათ პოზიტიური ზეგავლენა იქონიონ მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე, ვინაიდან არსებობს რესურსის გაერთიანების და გამოცდილების გაზიარების რეალური შესაძლებლობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტს, სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, აქვს მსხვილი დონორი ორგანიზაციების მოზიდვის პოტენციალიც.

5. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;
- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი;

ახალი კანონმდებლობით, „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“ და საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ მუნიციპალიტეტებს მიენიჭათ დამატებით მნიშვნელოვანი კომპეტენციები სოციალური დაცვის და მომსახურების სფეროში. სოციალურ სფეროში ეფექტური საქმიანობა ეფუძნება პროგრამულ მიდგომას, რისთვისაც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს საჭიროებათა შესახებ სრული, განახლებადი და სანდო ინფორმაციის ფლობა, რათა სწორად ჩამოვაყალიბოთ პრიორიტეტები და ამოცანები. გაზრდილი პასუხისმგებლობების და ახალი ფუნქციების დამატების პირობებში, კიდევ უფრო გამოიკვეთა არა მხოლოდ საჭიროებების, არამედ იმ გარემოებების შესწავლის აუცილებლობა, სადაც წარმოიქმნება ეს საჭიროებები, მათი წარმოქმნის სტრუქტურისა და წარმომშობი ფაქტორების იდენტიფიცირება.

ამ მიზნის მისაღწევად და ზემოხსენებულ გამოწვევებზე საპასუხოდ, 2022 წელს მუნიციპალიტეტში ჩატარდა საჭიროებათა კვლევა, რომელიც უკვე გახდა საბაზისო დოკუმენტი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, რათა კვლევის შედეგების საფუძველზე გადაიხედოს არსებული პროგრამები და საფუძველი ჩაეყაროს ახალი სოციალური სერვისების დანერგვას. კვლევის ჩატარება, მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ მოწყვლად ჯგუფებზე სანდო, მოცულობითი ინფორმაციის ფართე სპექტრის მოპოვების, არამედ მუნიციპალიტეტის ადამიანური რესურსის მობილიზებისა და გაძლიერების კუთხითაც.

ადგილობრივი თვითმმართველობის როლი ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის საქმეში უმნიშვნელოვანესია პრევენციის დონეზე, როგორც საყოველთაო, ასევე მიზნობრივი (ადრეული

ინტერვენციის) და ინდივიდუალური პრევენციის მიმართულებით. შესაბამისად, არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება თავიდანვე აქტიურად ჩაერთო ბავშვთა უფლებების დაცვის და ბავშვზე მავნე ზემოქმედების პრევენციის კუთხით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების პროცესში. ამ მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეებთან. 2022-23 წლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 35 საჯარო სკოლის 1000-ზე მეტ მოსწავლეს მიეწოდა ინფორმაცია განყოფილების საქმიანობაზე, ბავშვის უფლებებზე, ასევე, მათთვის საინტერესო სხვა თემებზე. ასაკობრივი კატეგორია მოიცავდა 14-18 წლის ახალგაზრდებს, გოგონებისა და ვაჟების მონაწილეობა აღნიშნულ აქტივობებში იყო თანაბარი. ამავე მიზნით, დაიბეჭდა და გავრცელდა საინფორმაციო ბუკლეტები. მოგვიანებით, 2023 წლის დასაწყისიდანვე, ჩატარებული კვლევის საპასუხოდ, ასევე, დაინიცირდა და განხორციელდა საინფორმაციო კამპანია საბავშვო ბაღების სექტორისთვის, კერძოდ, შეხვედრები შედგა 15 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების 225 მშობელსა და აღმზრდელთან. ვინაიდან კვლევის შედეგებმა და ოჯახებთან პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებამ ცხადყო პოზიტიური მშობლობის უნარების გაძლიერების აუცილებლობა, კამპანიის ფარგლებში, 2023 წლის განმავლობაში ჩატარდა 10 ,,მშობლის საათი“ ბავშვებთან მომუშავე სხვადასხვა სპეციალისტის ჩართულობით.

გამომდინარე იქედან, რომ ოჯახის როლი უმთავრესია ბავშვის ჯანსაღი ფუნქციონირებისა და მისი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, ხოლო ბავშვის საუკეთესო ინტერესები მშობელთა ძირითადი ზრუნვის საგანია, განყოფილებამ გააძლიერა მშობლებთან მუშაობის მიმართულება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება ახორციელებს ბავშვზე მორგებულ შემდეგ პროგრამებს:

სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა	ქვეპროგრამის მიზანია სოციალური საფრთხის მქონე ბავშვების და მათი ოჯახების მატერიალური და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა **მოწყვლად ჯგუფში შემავალი** (შშმ, სსმ, დანაშაულის/ძალადობის მსხვერპლი, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი, მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი, ზრუნვის სისტემიდან გასული, სოციალურად დაუცველი, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე და სხვა) **ბავშვების მატერიალურ დახმარებას ყოველთვიურად თითო ბავშვზე 50.0 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.**
ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამა	ქვეპროგრამის მიზანია ბავშვებისთვის სადღესასწაულო განწყობის შექმნა, ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო და სოლიდარობის დღეებთან დაკავშირებით, ბავშვებისთვის საზეიმო განწყობის შექმნას, დღის ცენტრების მონახულებას და ბავშვებისთვის სხვადასხვა სახის საჩუქრების გადაცემას, საინფორმაციო ბუკლეტებისა და სხვა ბეჭდური მასალის მომზადებას, გავრცელებას, საინფორმაციო შეხვედრების, პრეზენტაციების დაგეგმვასა და მოწყობას ფოკუს-ჯგუფებთან.
სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების ქვეპროგრამა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს: **ა)**სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 100 001-ზე ნაკლები) 18 წლამდე ასაკის განვითარების სხვადასხვა შეფერხების მქონე 10 ბავშვისთვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი საცურაო აუზის მომსახურების (aqua-თერაპია) დაფინანსებას ექიმ-ნევროლოგის რეკომენდაციის გათვალისწინებით და **ბ)**სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) მრავალშვილიანი ოჯახების 25 ბავშვის (6-18 წ) ინგლისური ენის შემსწავლელი წრეების (საბაზისო და საშუალო საფეხური) დაფინანსებას;

6. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:**

- **პროექტის შინაარსი;**

ჩვენს მიერ გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მხარდაჭერით განხორციელებულმა საჭიროებათა კვლევამ, სხვა ზემოხსენებულ გამოწვევებთან ერთად, დაგვანახა მშობლების გაძლიერების, მათი სააღმზრდელო უნარებისა და ცნობიერების ამაღლების საჭიროება. ანალოგიური გამოწვევები გამოიკვეთა ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციის ,,ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“ მიერ 2023 წელს ჩატარებული კვლევითაც, რომლის შედეგადაც შეიქმნა მშობელთა საბაზისო განათლების მოდული/სახელმძღვანელო მუნიციპალიტეტების სოციალური მუშაკებისთვის. 2024 წლის გაზაფხულზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების წარმომადგენლების გადამზადების შემდეგ, დავიწყეთ ტრენინგების ციკლი თემაზე ,,პოზიტიური მშობლობა“.

მოდულის ამოცანებია:

- ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მშობლებისა და მზრუნველების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას მშობლობისა და ბავშვის საჭიროებების ძირითად საკითხებთან დაკავშირებით;
- გააძლიეროს მუნიციპალიტეტის ბავშვთა განყოფილების სოციალური მუშაკები მშობელთა განათლების საბაზისო საკითხებზე. კერძოდ, მიაწოდოს მათ ცოდნა და ინფორმაცია მოდულის სესიების, მათი ჩატარების, ჯგუფის მართვისა და შესაძლო გამოწვევების შესახებ;
- განახორციელოს მოდულის პილოტირება, მისი ეფექტიანობის განსაზღვრა და პილოტირების შედეგად, საჭირო ცვლილებებზე მოსაზრებების მომზადება ფასილიტატორების მიერ.

ტრენინგის მოდული სოციალურ მუშაკებს, განყოფილების სხვა წარმომადგენელთან ერთად, აძლევს შესაძლებლობას, მშობლებს მიაწოდოს ინფორმაცია მშობლობასთან დაკავშირებული ისეთი საბაზისო საკითხების შესახებ, როგორებიცაა: მშობლობის გრძელვადიანი მიზნების გააზრება, ბავშვის განვითარების საკითხები და საჭიროებები, აქტიური მოსმენა, ეფექტური კომუნიკაცია, პოზიტიური დისციპლინა და მშობლის ემპათია.

მოდული მოიცავს ორ ძირითად ნაწილს: I). **თეორიულ-კონცეპტუალური საფუძვლები:** ამ ნაწილში აღწერილია მოდულის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, მშობელთა ჯგუფებთან სოციალური მუშაობის საუკეთესო პრაქტიკა, მშობლებთან ჯგუფური მუშაობის უპირატესობები, მითითებები ჯგუფის მართვისთვის და გასათვალისწინებელი საკითხები ფასილიტატორებისთვის; და II). **პრაქტიკული ნაწილი** - მოდულის სესიები:

I. **შესავალი სესია/ მშობლობის გრძელვადიანი მიზნები:** სესიის მიზანია კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა მშობლებისთვის, მათი მხარდაჭერა მშობლობის გრძელვადიანი ხედვის გამოკვეთაში, ბავშვთან ჯანსაღი ურთიერთობის ძირითადი კომპონენტების მიმოხილვა და მშობლის მიერ საკუთარ თავზე ზრუნვის მნიშვნელობის ხაზგასმა.

II. **ბავშვის განვითარების საკითხები და საჭიროებები:** სესიის მიზანია, მშობლებს მიაწოდოს ინფორმაცია ბავშვის განვითარების ძირითადი საკითხების შესახებ. საბოლოო მიზანია, მშობელმა შეძლოს, უკეთ გაიაზროს ბავშვის საჭიროებები, გრძნობები და ფიქრები და შესაბამისად, უკეთ უპასუხოს ბავშვის საჭიროებებს.

III. **აქტიური მოსმენა:** სესიის მიზანია, მხარი დაუჭიროს მშობლებს, მეტი ინფორმაცია მიიღონ აქტიური მოსმენის მნიშვნელობის და ასევე, პრინციპებისა და ტექნიკების თაობაზე.

განსაკუთრებული ყურადღება, სესიის ფარგლებში, ექცევა აქტიური მოსმენის ტექნიკებსა და სტრატეგიებს მშობლისა და შვილის ურთიერთობაში.

IV. **ეფექტური კომუნიკაცია:** სესიის მიზანია, მშობლებს ინფორმაცია მიაწოდოს ეფექტიანი კომუნიკაციის რაობის, ფორმებისა და პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე. ასევე, მშობლები იღებენ ინფორმაციას კომუნიკაციის ხელშემწყობ და ხელშემშლელ ფაქტორებზე.

V. **პოზიტიური დისციპლინა:** სესიის მიზანია, მიაწოდოს მშობლებს ინფორმაცია პოზიტიური დისციპლინის, თანმიმდევრული წესების დაწესებისა და დაცვის, ნათელი მოლოდინების განსაზღვრისა და საზღვრების დაწესების შესახებ.

VI. **ემოციები და მშობლის ემპათია:** სესიის მიზანია, მონაწილეებს მიაწოდოს ინფორმაცია ემოციებსა და მათ მართვაზე, მშობლის ემპათიასა და მის მნიშვნელოვნებაზე ბავშვის მედეგობისა და ემოციური ინტელექტის გაძლიერების კუთხით.

ტრენინგის ციკლი შედგება 6 სესიისგან, თითოეული 2 საათის ხანგრძლივობით, კვირაში ერთხელ. მოდული განკუთვნილია ჯგუფური მუშაობისთვის. ტრენინგს ფასილიტაციას უწევს სოციალური მუშაკი წყვილში, განყოფილების სხვა წარმომადგენელთან ერთად.

ამრიგად, ტრენინგ-მოდული ეხმიანება მშობელთა განათლების მიმართულებით არსებულ საჭიროებას და საწყისი ეტაპისათვის, იგი განკუთვნილია ამ ჯგუფთან საგანმანათლებლო მუშაობისთვის ბავშვის აღზრდისა და განვითარების საბაზისო საკითხებზე.

კვლევები ცხადყოფს, რომ ჯგუფურ მუშაობას მშობელთა ჯგუფებთან მნიშვნელოვანი უპირატესობები აქვს ინდივიდუალურ მუშაობასთან შედარებით, კერძოდ:

- ჯგუფის მონაწილე მშობლები/მზრუნველები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებებს და შესაბამისად, ხშირად სწავლობენ ერთმანეთისგანაც და არა მარტო ფასილიტატორისგან;
- ჯგუფში მონაწილეებს უყალიბდებათ მიკუთვნებულობის შეგრძნება ჯგუფთან, ნდობა ჯგუფის წევრების მიმართ და ისინი მნიშვნელოვანი მხარდამჭერები ხდებიან ერთმანეთისთვის;
- ჯგუფში მშობლები უკეთ სწავლობენ მშობლობის სირთულეებთან გამკლავების გზებს, უმცირდებათ სტრესი და შფოთვა და ასევე, უვითარდებათ უფრო ოპტიმისტური ხედვა მშობლობის კუთხით მათ წინაშე მდგარ სირთულეებთან დაკავშირებით, რადგან ხედავენ, როგორ უმკლავდებიან სირთულეებს სხვა მშობლები. ამასთანაა დაკავშირებული ისიც, რომ ჯგუფში მშობლებს უფრო მეტად უვითარდებათ მშობლის ამპლუაში საკუთარი თავის ზრდაზე ორიენტირებული ხედვაც და შესაბამისი მოტივაციაც;
- ჯგუფში მშობლები იღებენ ემოციურ მხარდაჭერას არა მარტო ფასილიტატორისგან, არამედ სხვა მშობლებისგანაც, რომლებიც ხშირად მსგავსი სირთულეების წინაშე მდგარან. შედეგად, ჯგუფი ეხმარება მშობლებს, განსაკუთრებით, ახალბედა მშობლებს და/ან შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებს, ნაკლებად იგრძნონ თავი იზოლირებულად;
- ჯგუფში მშობლებს მეტად ეძლევათ შესაძლებლობა, პრაქტიკულად გაივარჯიშონ მშობლობასთან დაკავშირებული ახალი უნარები, მათ შორის, ეფექტური კომუნიკაციის უნარები;
- ჯგუფში მშობლებს მეტად ეძლევათ შესაძლებლობა, გაიაზრონ მათი და მათი ოჯახების საჭიროებები, ასევე, მათ თემში არსებული რესურსები და ადვოკატობის შესაძლებლობები ამ რესურსების, მომსახურებებისა და მხარდაჭერის მექანიზმების დასახვეწად;
- ჯგუფური მუშაობა დროის დამზოგველია სოციალური მუშაკებისთვის, რადგან ერთდროულად მუშაობენ რამდენიმე ადამიანთან;

ჯგუფებთან მუშაობისას, სოციალურ მუშაკებს ხშირად უწევთ სხვა სპეციალისტებთან (მაგალითად, ფსიქოლოგებთან) თანამშრომლობა და შესაბამისად, ხელი ეწყობა სხვადასხვა პროფესიული დისციპლინების წარმომადგენლების ერთობლივ მუშაობასა და თანამშრომლობას, რასაც დადებითი შედეგი მოაქვს როგორც ჯგუფის დინამიკისა და მშობლების სასწავლო შედეგების მიღწევის კუთხით, ასევე, ჩართული სპეციალისტების პროფესიული განვითარებისა და თვითრეფლექსიის შესაძლებლობების ზრდის მხრივაც.

რეკომენდაციის თანახმად, სესიები ჩატარდა მშობელთა დახურული ჯგუფისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ წინასწარ იყო განსაზღვრული შეხვედრებისა და სესიების რაოდენობა, მონაწილეების ვინაობა და რაოდენობა. მონაწილეების კონკრეტულმა ჯგუფმა ერთად დაიწყო და ერთად დაასრულა ჯგუფური მუშაობა.

კვლევები გვიჩვენებს, რომ მსგავსი მოწყობა ჯგუფის წევრებს აძლევს სტაბილურობის, უსაფრთხოების, ნდობისა და თანმიმდევრულობის განცდას.

მოდული მოიცავს არა მარტო ფასილიტატორის, არამედ მშობელთა მაქსიმალურ ჩართულობას, მთელი სესიის განმავლობაში თითოეული მშობელი პროაქტიულად არის ჩართული პროცესში და აქვს შესაძლებლობა, გააზიაროს საკუთარი გამოცდილება და გაივარჯიშოს პრაქტიკული უნარები, დაფიქრდეს და გააანალიზოს საკუთარი სასწავლო გამოცდილება, ასევე, მშობელი სწავლობს რეფლექსიას-აანალიზებს, როგორ განხორციელდა უნარი პრაქტიკაში და როგორი უნდა იყოს შემდგომი ნაბიჯები.

ზემოხსენებული პრინციპების გათვალისწინებით, ფასილიტატორის მხრიდან მნიშვნელოვანია: დროის მართვა, სესიის ძირითადი სასწავლო შედეგების მიღწევა და მონაწილეების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა. სესიის მიმდინარეობის პროცესში გათვალისწინებულ იქნა:

- მშობლებს/მზრუნველებს მოვექცეთ, როგორც საკუთარი და საკუთარი შვილების ცხოვრების შესახებ ექსპერტებსა და კოლეგებს - შესაბამისად, მოვისმინოთ მათი აზრი პატივისცემით და განსჯის გარეშე;
- მათი მოსაზრებებით დავინტერესდეთ და აქტიური მოსმენის ტექნიკები გამოვიყენოთ სესიის მიმდინარეობისას;
- ჯერ დავაფიქროთ მშობლები კონკრეტულ საკითხზე და მივცეთ შესაძლებლობა, საკუთარი აზრი გამოთქვან, მანამ, სანამ ამ საკითხის შესახებ ინფორმაციას/ფაქტებს მივაწვდით მათ;
- მივცეთ მშობლებს უკუკავშირი, აუცილებლად კონსტრუქციულად და მათ გაზიარებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.
- შევუწყოთ ხელი მშობლებს, მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები და მომსახურებები;
- მონაწილეებს მივცეთ საკუთარი ინტერესებისა და წარსული გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობები;
- ხელი შევუწყოთ რეფლექსიურ დასწავლას და დავაფიქროთ მშობლები საკუთარ შეხედულებებსა და ჩვევებზე, რათა მათ გააანალიზონ ეს გამოცდილებები ჯგუფურ შეხვედრებზე მიღებულ ცოდნასთან მიმართებაში და დაფიქრდნენ სამომავლო გაუმჯობესების სტრატეგიებზე;
- გამოვიყენოთ შემთხვევების განხილვა პრაქტიკული დასწავლისთვის;
- დავაფიქროთ მონაწილეები, რა სურთ მათ მიიღონ კონკრეტული სესიისგან, ბოლოში - რა ისწავლეს ამ სესიაზე და ასევე, როგორ შეიძლება, ეს ცოდნა მათ სამომავლოდ პრაქტიკაში გამოიყენონ (რეფლექსიაზე მიმართული სავარჯიშოები).

ტრენინგის მოდულში აქტიურად ვიყენებთ ზემოთ ჩამოთვლილ ელემენტებსა და ინტერაქტიული სწავლების მეთოდებს. ამ მეთოდებში მოიაზრება ყინულის გამლღობები, გონებრივი იერიში, ჯგუფური დისკუსია, მინი პრეზენტაციები, პრაქტიკული სავარჯიშოები, პრაქტიკული შემთხვევების განხილვები, მცირე ჯგუფებში მუშაობა, როლური თამაშები, კითხვარები, რეფლექსიაზე მიმართული სავარჯიშოები და სხვა მსგავსი აქტივობები თუ ელემენტები, რომლებიც მონაწილეების აქტიურ ჩართულობასა და ხშირად, საკუთარი გამოცდილებების გაზიარებასა და სხვა მონაწილეების გამოცდილებების გააზრებას მოითხოვს. ეს მეთოდები საშუალებას აძლევს მონაწილეებს, გამოთქვან საკუთარი აზრი, მოიყვანონ საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება და ერთმანეთს გაუზიარონ აღნიშნული, რათა ერთმანეთისგან მეტად შეძლონ სწავლა და ერთმანეთის მხარდაჭერა. მინი პრეზენტაციებით ივითარებენ პრეზენტაციის უნარებს, პრაქტიკული სავარჯიშოებით უვითარდებათ აქტიური მოსმენის და რეალურ ცხოვრებასთან ინფორმაციის დაკავშირების უნარი. სესიის ბოლოს ძალიან მნიშვნელოვანია რეფლექსია, მთელი მოდულის შეჯამება, იმის გააზრება, რა ისწავლეს მონაწილეებმა ამ სესიიდან/მოდულიდან, რა მიაქვთ აქედან და ასევე, რა შეიძლება გაუმჯობესდეს, რათა მომდევნო ჯგუფებთან გათვალისწინებულ იქნას ეს ინფორმაცია.

მნიშვნელოვანია, გავიაზროთ, რომ ადამიანები ჯგუფში მოდიან:

- საკუთარი ინდივიდუალური მახასიათებლებით და უნიკალური თვისებებით;
- საკუთარი ტრავმებით, წარსული გამოცდილებით, იმედებით, შიშებითა და წინასწარგანწყობებით;
- გრძნობებითა და ნდობის განსხვავებული მზაობით ჯგუფის წევრების მიმართ.

ჯგუფში ჩართვამდე, უმნიშვნელოვანესია, მონაწილემ კარგად გაიაზროს, რა სახის ჯგუფში ერთვება, რა მიზნები აქვს ამ ჯგუფს და რა სასწავლო შედეგები დაიდება ჯგუფის მუშაობის შედეგად. ტრენინგის პირველი ეტაპისთვის შერჩეულ იქნა დაახლოებით მსგავსი გამოწვევების მქონე 6 მონაწილე, რომლებიც წარმოადგენენ ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამებით მოსარგებლე ბავშვების მშობლებს. ჯგუფის დაგეგმვის ეტაპზე, მნიშვნელოვანი იყო ტექნიკური და ორგანიზაციული დეტალების გათვალისწინებაც. მაგალითად, შეკრებების დრო ჯგუფის წევრების მოცლილობიდან გამომდინარე, შეხვედრის ხანგრძლივობა, შეხვედრის განმავლობაში ბავშვიანი მშობლების მხარდაჭერა ბავშვებზე ზრუნვის პროცესში, შეხვედრის ადგილმდებარეობა და საცხოვრებელთან სიახლოვე და ა.შ.

მონაწილეების თავდაპირველი სია, უფრო მრავალრიცხოვანი იყო, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ რომ ყველა მონაწილე, სავარაუდოდ, ვერ/არ მოდის ჯგუფის პირველ შეკრებაზე, საბოლოოდ, დარჩა 6 მონაწილე (დედები), რომლებიც უშუალოდ არიან შვილებზე მზრუნველი პირები და ჩართული არიან ბავშვების აღზრდის პროცესში. თუმცა სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, შესაძლებელია, ტრენინგების ციკლში , დედების გარდა, ჩაერთონ მამები და სხვა მზრუნველი პირები (ბებია, ბაბუა, ბიძა, დეიდა, ბიცოლა, მამიდა დ ა.შ.) დედის არყოფნის შემთხვევაში.

მონაწილეების დაუწყებისას მათ წინასწარ მიეწოდათ მოკლე ინფორმაცია ტრენინგის თემატიკასთან, თარიღებსა და ხანგრძლივობასთან, ასევე, შეხვედრის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, ასევე, იმის ხაზგასმაც, რომ ყველა პოტენციური მონაწილე იყო ჩვენთვის კარგად ნაცნობი, კერძოდ, სოციალურ მუშაკს მათთან ჩატარებული ჰქონდა სოციალური მუშაობა და თითოეული ოჯახის საჭიროება შეფასებული იყო მის მიერ.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მუშაკი, საჭიროების შემთხვევაში მშობლებს აწვდის ინფორმაციას ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ, რაც ჩვენს პრაქტიკაში აქტიურად ხორციელდება.

პირველი ტრენინგ-მოდული, ისევე, როგორც ჩვენს მიერ დაგეგმილი შეხვედრების უმეტესი ნაწილი, ჩატარდა ,,ქალთა ოთახის“ სივრცეში, ვინაიდან კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა უმნიშვნელოვანესია იმისთვის, რომ მონაწილეებმა თავი ღირებულად და უსაფრთხოდ იგრძნონ და შეძლონ, გაიხსნან და გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება. ვთვლით, რომ ,,ქალთა ოთახის“ სივრცე იდეალურია მსგავსი ტიპის შეხვედრებისთვის, ვინაიდან ამ სივრცეში მოწყობილი საბავშვო კუთხე აძლევს მშობელს, აუცილებლობის შემთხვევაში, შეხვედრაზე ბავშვთან ერთად დასწრების შესაძლებლობას. ტრენინგის მიმდინარეობისას რამდენიმე სესია ჩატარდა ბავშვებთან ერთად. კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაში, ასევე, დიდ როლს თამაშობს ყავა-ჩაით და ტკბილეულით გამასპინძლება, რასაც ვახორციელებდით სესიის პროცესში (შესვენებაზე).

2022 წელს დანერგილმა სოციალურმა სერვისმა-„ქალთა ოთახი“ ახალი შესაძლებლობა მისცა მუნიციპალიტეტს მოქალაქეების მხარდასაჭერად.

ქალთა გაძლიერება ხორციელდება 4 ძირითადი მიმართულებით:

პოზიტიური მშობლობის ტრენინგების პროცესში მშობელთა ჯგუფში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ემოციურად უსაფრთხო სივრცის უზრუნველყოფას. ფასილიტატორის როლი არ არის ვინმეს სწავლება, განსჯა ან დასჯა. მისი როლია დისკუსიისა და რეფლექსიის ფასილიტაცია. ამიტომ მნიშვნელოვანია, ფასილიტატორი იყოს მეგობრული და კეთილგანწყობილი.

აქვე გასათვალისწინებელი და ხაზგასასმელია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი შეხვედრის უსაფრთხო სივრცის შექმნისთვის:

- **შეხვედრების/ტრენინგის ციკლის საწყის ფაზაში** მონაწილეები აწესებენ ჯგუფის წესებს. უსაფრთხო სივრცის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, ამ წესებში შედიოდეს: ერთმანეთისა და ერთმანეთის აზრის პატივისცემა, მათ შორის, განსხვავებული აზრის პატივისცემა; ჩვენი აზრის ისე გამოთქმა, რომ ამ დროს სხვას არ მივაყენოთ შეურაცხყოფა; ერთმანეთის მოსმენა; ერთდროულად მხოლოდ ერთი ადამიანის საუბარი; ტელეფონის ხმის გამორთვა და ტელეფონის საპასუხოდ ოთახიდან გასვლა, პრივატულობის პატივისცემა, კონფიდენციალობის დაცვა და ა.შ. თუ ეს წესები ან მათგან რომელიმე არ წამოვიდა ჯგუფიდან, მნიშვნელოვანია, ფასილიტატორმა შესთავაზოს ჯგუფს ეს წესები.
- **შუა ფაზაში,** ჯგუფის წევრები უკვე შეკრულნი არიან, როგორც ჯგუფი და მათ შეუძლიათ ერთად მუშაობა ჯგუფის მიზნებისა და მონაწილეთა ინდივიდუალური მიზნების მისაღწევად. ამ ფაზაში, მონაწილეები გაცილებით ღიად და თანამშრომლობითად ერთვებიან საერთო აქტივობებსა და დისკუსიებში. შუა ფაზა მოიაზრებს მოდულის პრაქტიკული სესიების მიწოდებას. ამ ეტაპზე, შეიძლება თავი იჩინოს მონაწილეთა დექსტრუციულმა ქცევა ან/და მათ დაიწყონ საკუთარი ტრავმული გამოცდილების გაზიარება, რისთვისაც ფასილიტატორი წინასწარ არის მომზადებული, რათა მართოს სიტუაცია.
- **დასრულების ფაზაში** ჯგუფი ასრულებს მუშაობას, მისი წევრები ემშვიდობებიან ერთმანეთს და მუშაობა უკვე იმაზეა მიმართული, რომ ჯგუფში ნასწავლი უნარებისა თუ ინფორმაციის გადატანა მოხდეს პრაქტიკაში. ამ ფაზაში, მონაწილეებს ვაძლევთ საშუალებას, ისაუბრონ გრძნობებზე, რომლებიც მათ აქვთ ჯგუფის დასრულებასთან დაკავშირებით და შეაფასონ მათი ერთობლივი მუშაობის შედეგები, ისევე, როგორც ამ მუშაობის ზეგავლენა მათ სამომავლო ურთიერთობაზე შვილებთან.

თითოეული სესიის ბოლოს და თითოეული ჯგუფის დასრულებისას, ფასილიტატორები ვაანალიზებთ, როგორ წარიმართა ჯგუფი, როგორი იყო ჯგუფში ტრენინგის დინამიკა, რამ იმუშავა ეფექტიანად, რამ არ იმუშავა და ასევე, როგორ შეგვიძლია სესიების გადაგეგმვა ან შეცვლა. მოდულს თან ერთვის სამი კითხვარი, რომლებიც ამ პროცესებში გვეხმარება:

- **პრე და პოსტ - ტესტი:** ეს ორი იდენტური ტესტია, რომლებიც ივსება მოდულის დასაწყისში და ბოლოში და ზომავს, რამდენად გაიაზრეს მონაწილეებმა განვლილი თემები და რამდენად აუმაღლდათ მათ ცოდნა შეხვედრის საკითხებზე. პრე და პოსტ-ტესტები ივსება ანონიმურად. კითხვარი საშუალებას გვაძლევს, გავაანალიზოთ მიღწევები და გამოწვევები და გამოვიყენოთ ეს ინფორმაცია ცვლილებების შესატანად მომდევნო ჯგუფთან მუშაობის გეგმაში. *(იხ. დანართი N1)*
- **მონაწილეთა შეფასების / უკუკავშირის ფორმა:** ეს კითხვარი ივსება ანონიმურად, ტრენინგის ბოლოს და მისი მიზანია, მისცეს მონაწილეებს შესაძლებლობა, ანონიმურად შეაფასონ, რამდენად კმაყოფილები არიან ისინი ტრენინგით (შინაარსობრივი და ტექნიკური მხარეები), რა ისწავლეს, რა მოეწონათ და რას შეცვლიდნენ ტრენინგზე. *(იხ. დანართი N2)*

- **ფასილიტატორის ანგარიში:** განსხვავებით ტესტებისა და შეფასების კითხვარისაგან, ანგარიში იწარმოება ფასილიტატორის მიერ, რომელსაც იგი ამზადებს ტრენინგის სრული ციკლის ბოლოს, თანდართული ფორმის შესაბამისად, სადაც აღწერს, როგორც ძირითად მიღწევებს, ასევე გამოწვევებსა და მოსაზრებებს გაუმჯობესებისთვის. ***(იხ. დანართი N3)***

ზემოხსენებული კითხვარები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა მოდულის ეფექტიანობის შეფასებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესებების უზრუნველყოფის საქმეში.

წარმოგიდგენთ ზემოხსენებულ ტესტს, უკუკავშირის ფორმას და ჩატარებული ტრენინგის ანგარიშს:

მშობელთა განათლების საბაზისო ტრენინგი
პრე-პოსტ ტესტი

გამოკითხვის მიზანია მონაწილეთა ცოდნის შემოწმება ტრენინგამდე და ტრენინგის შემდგომ, რათა შეფასდეს ჯგუფის პროგრესი და ტრენინგის შედეგი. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, ტესტი ანონიმურია. სახელისა და გვარის მითითება საჭირო არ არის.

გთხოვთ, უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს. დრო: 15 წუთი

1. ჩამოთვლილთაგან რომელი მიიჩნევა ბავშვის აღზრდის საუკეთესო სტრატეგიად/გზად?

- ☐ სითბოს, სიყვარულისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა
- ☐ სტრუქტურისა და ინფორმაციის უზრუნველყოფა
- ☐ მშობლის კეთილდღეობა და თვით-ზრუნვა
- ☐ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

2. ბავშვისადმი უპირობო სიყვარულის დადასტურება მნიშვნელოვანია:

- ☐ ნებისმიერ სიტუაციაში
- ☐ როცა კარგად იქცევა
- ☐ როცა მითითებებს ზუსტად ასრულებს
- ☐ განსაკუთრებულ შემთხვევებში

3. ქვემოთ მოცემული დებულებებიდან რომელი დებულება მიგაჩნიათ სწორად:

- ☐ ბავშვის განვითარება საერთო კანონზომიერებით ხასიათდება და ყველა ბავშვი ერთნაირად ვითარდება;
- ☐ ბავშვის განვითარება საერთო კანონზომიერებით ხასიათდება, თუმცა თითოეული ბავშვი განვითარების ინდივიდუალურ გზას გადის;
- ☐ არცერთი დებულება არ არის სწორი.

4. აქტიური მოსმენის კომპონენტებია:

- ☐ უბრალოდ მოსმენა
- ☐ მოსმენა და ღია კითხვები
- ☐ **რეფლექსია** - ანალიზი და **აფირმაცია**-დამტკიცება, დადასტურება
- ☐ მოსმენა, ღია კითხვები, რეფლექსია და აფირმაცია

5. გთხოვთ, შესაბამისი თანიმდევრობით დაალაგოთ ბავშვთან აქტიური მოსმენის ნაბიჯები (პირველი ნაბიჯი აღნიშნეთ - 1 და ა.შ.):

- ☐ ბავშვის გამხნევება;
- ☐ ბავშვის მხარდაჭერა გამოსავლის ძიებაში;
- ☐ ბავშვის მონათხრობიდან როგორც სიტყვიერი შინაარსის, ასევე ემოციების ასახვა;
- ☐ ბავშვის ემოციების მიღება, დადასტურება;

6. ჩამოთვლილთაგან რომელი არის კომუნიკაციის საუკეთესო ფორმა:

- ☐ პასიური
- ☐ აგრესიული

- ასერტული
- არცერთი

7. ბავშვთა კომუნიკაციის დროს, რომელი მიმართვა შეიძლება იყოს მეტად ეფექტური?

- „მე ძალიან ვღელავ და ვერ ვიძინებ, როდესაც შენ სახლში გვიან ბრუნდები და ტელეფონს არ პასუხობ, რადგან ამ დროს ქუჩაში ყოფნა საშიშია.“
- „შენ ყოველთვის გვიან ბრუნდები და არასოდეს მატყობინებ ამის შესახებ, რაზეც მე ვნერვიულობ“
- ორივე მიმართვა ეფექტურია

8. პოზიტიური დისციპლინა არის:

- აღზრდის მკაცრი მიდგომა
- აღზრდის ლოიალური მიდგომა
- აღზრდის არაძალადობრივი მიდგომა
- არცერთი

9. პოზიტიური დისციპლინა გულისხმობს:

- წესებისა და საზღვრების დაწესებას
- ბავშვის უფლებების პატივისცემას
- ბავშვის თანამონაწილეობას
- ყველა ზემოთ ჩამოთვლილს

10. ჩამოთვლილთაგან რომელი <u>არ არის</u> ემპათიური აღზრდის მაგალითი:

- გადაწყვეტილების მიღებაში ბავშვის ჩართვა;
- მჭიდრო კავშირსა და ჯანსაღ ურთიერთობა შვილებთან;
- საკუთარ გრძნობებსა და აზრების გამოხატვის ხელშეწყობა;
- ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება მშობლის/ების მიერ, ერთპიროვნულად.

მშობელთა განათლების საბაზისო ტრენინგი

ტრენინგის შეფასების / უკუკავშირის ფორმა

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ და გულახდილად უპასუხოთ დასმულ კითხვებს. თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია და რეკომენდაციები დაგვეხმარება დავხვეწოთ და გავაუმჯობესოთ მშობელთა ტრენინგი სამომავლოდ. ***შეგახსენებთ, რომ კითხვარი ანონიმურია!***

თარიღი: _____ ადგილი: _____

ტრენინგის შედეგების თვით-შეფასება: *ათბალიან სკალაზე შეაფასეთ სატრენინგო თემატიკის ირგვლივ თქვენი* ***ცოდნა და უნარები*** *ტრენინგის ჩართვამდე და ტრენინგის დასრულების შემდეგ.*

ცოდნა და უნარები	შეფასება									
ტრენინგის გავლამდე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ტრენინგის გავლის შემდეგ	1	2	3	4	5	6	7	8	9	10

ტრენინგის შეფასება: *როგორ შეფასებდით ტრენინგის შემდეგ კომპონენტებს 5 ბალიან სკალაზე, სადაც 5 ძალიან კარგია, ხოლო 1 ძალიან ცუდი.*

ტრენინგის კომპონენტები	1 ძალიან ცუდი	2 ცუდი	3 საშუალო	4 კარგი	5 ძალიან კარგი
ტრენინგის შინაარსი / პროგრამა					
ტრენინგის პრაქტიკული გამოყენებადობა					
ტრენერის / ების შეფასება					
ტრენინგის ორგანიზების ხარისხის შეფასება					

რა იყო თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი / სასარგებლო ტრენინგში?

_____

_____

რას შეცვლიდით/გააუმჯობესებდით ტრენინგ პროგრამაში?

_____

_____

დამატებითი კომენტარი:

_____

_____

ზოგადი შეფასება: *გთხოვთ, მონიშნოთ ერთი სიმბოლო, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს თქვენს დამოკიდებულებას მთლიანი ტრენინგის მიმართ:*

☺ კმაყოფილი 😐 ნეიტრალური ☹ უკმაყოფილი

მადლობა თანამშრომლობისა და ჩართულობისთვის!

დანართი N3

მშობელთა განათლების საბაზისო ტრენინგი
ფასილიტატორის ანგარიშის ფორმა

ანგარიში ივსება ტრნეინგის სრული ციკლის დასრულების შემდგომ. ანგარიშს თან უნდა დაერთოს დასწრების ფურცელი.

თარიღი:	31.05.2024 წ.
ადგილი:	ზუგდიდი
ფასილიტატორები:	მაია მამფორია, ია ეხვაია
მონაწილეთა რაოდენობა (მათ შორის ქალი / კაცი):	მშობელთა განათლების საბაზისო ტრენინგს ესწრებოდა სულ 6 (ქალი) მონაწილე.
მშობელთა განათლების ტრენინგის მიმდინარეობის მოკლე აღწერა:	ტრენინგის ციკლი შედგებოდა 6 სესიისგან, თითოეული 2 საათის ხანგრძლივობით. თითოეულ სესიას თითო შეხვედრა დაეთმო და კვირაში ერთხელ ჩატარდა. ტრენინგის მონაწილეები იყვნენ ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარები. ჯგუფი იყო დახურული, რადგან წინასწარ იყო განსაზღვრული შეხვედრებისა და სესიების რაოდენობა, მონაწილეების ვინაობა და რაოდენობა. შესაბამისად, აღნიშნული ჯგუფური მუშაობა მონაწილეების კონკრეტულმა ჯგუფმა ერთად დაიწყო და ერთად დაასრულა. არ მომხდარა ახალი წევრის დამატება, როგორც ეს ღია ჯგუფების შემთხვევაში ხდება, რაც მიზაშეწონილია მომავალშიც გათვალისწინებულ იქნას. ჯგუფის მონაწილე მშობლები ერთმანეთს უზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებებს და შესაბამისად, ხშირად სწავლობდნენ არა მარტო ფასილიტატორისგან, არამედ ერთმანეთისგანაც. ტრენინგის მიმდინარეობის პროცესში გამოყენებული იყო ინტერაქტიული სწავლების მეთოდები, როგორიცაა: ყინულის გამლღობები, გონებრივი იერიში, ჯგუფური დისკუსია, მინი პრეზენტაციები, პრაქტიკული სავარჯიშოები, პრაქტიკული შემთხვევების განხილვები, მცირე ჯგუფებში მუშაობა, როლური თამაშები, კითხვარები, რეფლექსიაზე მიმართული სავარჯიშოები და სხვა მსგავსი აქტივობები. რამაც განაპირობა მონაწილეთა აქტიური ჩართულობა და ხშირად საკუთარი გამოცდილებების გაზიარება. მშობელთა განათლების ტრენინგი ჩატარდა „ქალთა ოთახის“ სივრცეში, სადაც მონაწილეებისთვის კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემო იყო შექმნილი. არსებული გარემო მაქსიმალურად იყო მორგებული მონაწილეთა საჭიროებებზე, იყო შემთხვევები, როცა ბავშვთან ერთად მოსული მშობლისთვის შესაბამისი, ბავშვისთვის საჭირო სივრცე იქნა შეთავაზებული. ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ტრენინგის ძირითადი შედეგები/მიღწევები:	ტრენინგი მიზნად ისახავდა მშობლობასთან დაკავშირებული ისეთი საბაზისო საკითხების შესახებ წარმოდგენის შექმნას, როგორებიცაა: მშობლობის გრძელვადიანი მიზნების გააზრება, ბავშვის განვითარების საკითხები და საჭიროებები, აქტიური მოსმენა, ეფექტური კომუნიკაცია, პოზიტიური დისციპლინა და მშობლის ემპათია. ტრენინგის მიმდინარეობისას ჯგუფის თითოეული მონაწილე დაფიქრდა შვილებთან არსებულ ურთიერთობებზე, მათთვის აღმოჩენა იყო მშობლობის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზების განხილვისას მშობლის თვით-ზრუნვა, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიის არსებობა. ჯგუფის წევრები უკუკავშირის დროს ხშირად აღნიშნავდნენ, რომ დაიწყეს ჯგუფში ნასწავლი უნარებისა თუ ინფორმაციის გამოყენება პრაქტიკაში.
ტრენინგის ძირითადი გამოწვევები:	ტრენინგის ძირითადი გამოწვევა იყო მონაწილეთა ნაწილის (2 მონაწილე) ხშირი გაცდენა, ძირითადად ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე.
რეკომენდაციები/ მოსაზრებები გაუმჯობესებისთვის:	• აუცილებელია ტრენინგის პერიოდში მომზადებულ პრეზენტაციებში, პრე და პოსტ ტესტში მოხდეს არსებული ტერმინების გამარტივება ან უცხო სიტყვების განმარტებების გაკეთება. • ტრენინგის მიმდინარეობამ ცხადყო, რომ აუცილებელია მომავალშიც ჯგუფები იყოს დახურული, რადგან ჯგუფის წევრებს აძლევს სტაბილურობის, უსაფრთხოების, ნდობისა და თანმიმდევრულობის განცდას.

პრე-პოსტ ტესტისა და ტრენინგის უკუკავშირის შედეგები

პრე და პოსტ ტესტი შედეგები	
პრე-ტესტი	
საშუალო ქულა	**6**
უმაღლესი ქულა	**9**
უდაბლესი ქულა	**1**
პოსტ-ტესტი	
საშუალო ქულა	**7**
უმაღლესი ქულა	**9**
უდაბლესი ქულა	**2**
ტრენინგის უკუკავშირის შედეგები	
ცოდნა-უნარების თვითშეფასების საშუალო ქულა ტრენინგის გავლამდე	**7**
ცოდნა-უნარების თვითშეფასების საშუალო ქულა ტრენინგის გავლის შემდგომ	**10**
ტრენინგის შინაარსი / პროგრამა შეფასების საშუალო ქულა	**5**
ტრენინგის პრაქტიკული გამოყენებადობის შეფასების საშუალო ქულა	**5**
ფასილიტატორების შეფასების საშუალო ქულა	**5**
ტრენინგის ორგანიზების შეფასების საშუალო ქულა	**5**
ტრენინგით ზოგადი კმაყოფილება	კმაყოფილის რაოდენობა: **6** ნეიტრალურის რაოდენობა: **0** უკმაყოფილოს რაოდენობა: **0**
მონაწილეთა ძირითადი კომენტარები ტრენინგთან დაკავშირებით *(აუცილებელი არ არის უკუკავშირით მიღებული ყველა პასუხის გადმოტანა. გადმოიტანეთ გავრცელებული პასუხები, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს ჯგუფის მოსაზრებას)*	
რა მოეწონათ?	მონაწილეთა უმრავლესობას მოეწონა ტრენინგის თემატიკა. „ამ ტრენინგის შემდეგ, ძალიან დიდი ცოდნა და დადებითი ემოციები მივიღე, სასარგებლო სამომავლოდ ჩემი შვილებისთვის, სასიამოვნო გარემო და მეგობრული საზოგადოება იყო.“
რას შეცვლიდნენ?	ტრენინგის მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, არსებულ

	სატრენინგო მოდულში არაფერს არ შეცვლიდნენ. „არაფერს არ შევცვლიდი, რადგან დატვირთული იყო როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მასალით, იმდენი სითბო და სიყვარული ვიგრძენი თითოეულისგან.“
დამატებითი კომენტარი:	ტრენინგის მონაწილეთა უმრავლესობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა თემატიკაზე. „ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი სახის ტრენინგები და ვისურვებდი კიდევ დაიგეგმოს სხვადასხვა თემატიკაზე.“

ტრენინგის დასასრულს, მშობელთა მეტი მოტივაციისა და თვითშეფასების ამაღლების მიზნით, მონაწილეებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სერთიფიკატები. შეხვედრის ამსახველი მასალა გამოქვეყნდა მერიის ფეისბუქ-გვერდზე, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ინფორმირებულობა და ინტერესი ტრენინგის მიმართ. https://www.facebook.com/photo/?fbid=851960873638655&set=pcb.851961523638590

მონაწილეებისგან მიღებულმა უკუკავშირმა კიდევ ერთხელ დაგვანახა მოდულის გაგრძელების აუცილებლობა სხვა ბენეფიციარებთან. აქედან გამომდინარე, მ/წლის 8 ნოემბერს ჩვენ დავიწყეთ რიგით მეორე ციკლი 10 მშობლისგან შემდგარ ახალ ჯგუფთან. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული აქტივობები ხორციელდება ყოველგვარი ფინანსური დანახარჯის გარეშე, განყოფილების ადამიანური რესურსის გამოყენებით და მერიის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერით.

ცხრილი - აქტივობათა გეგმა/გრაფიკი

#	თარიღი	სესიის თემა	შენიშვნა
1	05.04.2024	შესავალი სესია/ მშობლობის გრძელვადიანი მიზნები:	
2	12.04.2024	ბავშვის განვითარების საკითხები და საჭიროებები	
3	26.04.2024	აქტიური მოსმენა	
4	10.05.2024	ეფექტური კომუნიკაცია	
5	24.05.2024	პოზიტიური დისციპლინა	
6	30.05.2024	ემოციები და მშობლის ემპათია	თარიღების გადანაცვლება გამოწვეული იყო უქმე დღეებით

ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**

<u>მოქალაქეთა ჩართულობა</u>

შეხვედრების პროცესში ჩართული იყო მერიის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება ტრენინგის სამიზნე ჯგუფთან ერთად (აღნიშნული განყოფილების ბენეფიციარები, რომლებიც, ასევე, არიან სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების მოსარგებლეები). ტრენინგ-მოდული ემსახურებოდა მშობლებისა და მზრუნველების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას მშობლობისა და ბავშვის საჭიროებების ძირითად საკითხებზე.

<u>სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობა</u>

ტრენინგ-მოდული შეიქმნა ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“ (ISC) მიერ, პროექტის „ტექნიკური მხარდაჭერა მუნიციპალური სოციალური მუშაობისა და სოციალური მომსახურებების შესწავლისა და კონცეპტუალიზაციისათვის“ ფარგლებში. პროექტის მხარდამჭერია გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) და ევროკავშირი. პროექტი მიზნად ისახავდა, მუნიციპალური ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალურ მუშაკების მხარდაჭერას და მათ გაძლიერებას მშობელთა განათლების საბაზისო საკითხებზე მშობელთა ჯგუფებთან მუშაობისთვის.

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;
  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;
  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

ა) კვლევის განხორციელების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო ადამიანური რესურსი, კვალიფიციური კადრები. ასევე, უმნიშვნელოვანესი ადამიანური რესურსია მშობელთა აქტიური ჩართულობა ტრენინგის მიმდინარეობის პროცესში.

ბ) ტრენინგ-მოდული ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის/დონორის ფინანსური დახმარების გარეშე.

გ) არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი სრულად ხელმისაწვდომი იყო როგორც ფასილიტატორებისთვის (ბავშვთა განყოფილების წარმომადგენლები), ასევე ტრენინგის მონაწილეთათვის (ყველა საჭირო ინვენტარი: ფლიპჩარტი, ფერადი მარკერები, ფერადი სტიკერები, პროექტორი პრეზენტაციებისთვის, სადემონსტრაციო დაფა და სხვა).

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**
  პროექტის განხორციელების პროცესში მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა მონაწილეთა მობილიზება, რომლის მიზეზიც ხშირ შემთხვევაში იყო დროის უქონლობა, მშობლის ან ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და სხვა. აქედან გამომდინარე, ტრენინგების ყოველი სესია იგეგმებოდა მონაწილეებთან შეთანხმებით. ასევე, პროექტის განხორციელების პროცესში საჭირო გახდა ტერმინოლოგიის გამარტივება და ინფორმაციის მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდება.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

  - ✓ არასამთავრობო ორგანიზაცია "ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის"
  - ✓ გაეროს ბავშვთა ფონდი;
  - ✓ ევროკავშირი;

- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის:**

  - ➢ პროექტმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მერიის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ადამიანური რესურსის გაძლიერებას. პროექტის ფარგლებში, პირველ ეტაპზე განხორციელდა განყოფილების წარმომადგენელთა გადამზადება და მათთვის შესაბამისი მეთოდოლოგიის (ფასილიტატორის სახელმძღვანელო) გადაცემა.
  - ➢ პროექტმა რეალურად ხელი შეუწყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ბავშვიანი ოჯახების მხარდამჭერი ახალი სერვისის/მომსახურების დანერგვას პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერების გზით.

7. **მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:**
(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

- ❖ ტრენინგის დაწყებისას და მისი დასრულების შემდგომ მონაწილეების მიერ ანონიმურად შევსებულ იქნა პრე და პოსტ-ტესტები, რომლებმაც ფასილიტატორებს საშუალება მისცა, გაეანალიზებინათ მიღწევები და გამოწვევები, რათა შემდგომ ეს ინფორმაცია გამოიყენონ მომდევნო ჯგუფებთან მუშაობაში.
- ❖ ტრენინგის ბოლოს მონაწილეების მიერ, ასევე, ანონიმურად შეივსო მონაწილეთა შეფასების/უკუკავშირის ფორმა, რომლის მიზანია შეაფასონ კმაყოფილების ხარისხი, რა ისწავლეს, რა მოეწონათ და რას შეცვლიდნენ ტრენინგზე.
- ❖ ტრენინგის სრული ციკლის ბოლოს, თანდართული ფორმის შესაბამისად, ფასილიტატორის მიერ მომზადდა გაწეული საქმიანობის ანგარიში, სადაც აღწერილია როგორც ძირითადი მიღწევები, ასევე, გამოწვევები და მოსაზრებები გაუმჯობესებისთვის.
- ❖ ტრენინგის მონაწილეები ფასილიტატორებისგან იღებენ ინფორმაციას მოქმედ მუნიციპალურ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.
- ❖ ტრენინგის მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, დეტალური ინფორმაცია მიეღოთ ,,ქალთა ოთახის“ სერვისების, კერძოდ, დასაქმებისა და პროფესიული გადამზადების შესახებ.

ზემოხსენებულმა კითხვარებმა მოგვცა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოდულის ეფექტიანობის შეფასებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფის საქმეში.

8. **მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:**
(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);

ბავშვიანი ოჯახები, ქვეყნის მასშტაბით, უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, რომლებსაც ოჯახები ვერ უმკლავდებიან საკუთარი მწირი რესურსებით. მშობლები ხშირ შემთხვევაში, გარდა ეკონომიკური რესურსის სიმწირისა, მოკლებული არიან მშობლობის სათანადო უნარ-ჩვევებს, რაშიც უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს და თვითმმართველობების როლი. ერთ-ერთ ასეთ რგოლს წარმოადგენს ოჯახების და ბავშვების მხარდამჭერი, ახლადშექმნილი მუნიციპალური სტრუქტურული ერთეულები, რომლის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვისაც, გარდა ბავშვიანი ოჯახების პროგრამული მხარდაჭერისა, აუცილებელია პრევენციული მიმართულების გაძლიერება, რის უნიკალურ შესაძლებლობასაც გვაძლევს ორგანიზაცია "ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის" მიერ მოწოდებული სატრენინგო მოდული.

- ✓ აღნიშნული მოდულის განხორციელებისას უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ადგილობრივი მაღალკვალიფიციური კადრების, განსაკუთრებით კი მოტივირებული, სოციალური მუშაკის ყოლა, რაც აღნიშნული პროექტის წარმატების განმსაზღვრელია.
- ✓ მოდულის განხორციელების პროცესში, ასევე, უმნიშვნელოვანესია სწორად შერჩეული მშობელთა ჯგუფი, რომელსაც ექნება მზაობა და მოტივაცია აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელია, მასთან ინდივიდუალური მუშაობა და მხოლოდ შემდეგ ჩართვა ჯგუფში.
- ✓ არანაკლებ მნიშვნელოვანია სივრცე, სადაც მშობლებს დახვდებათ კეთილგანწყობილი და კომფორტული გარემო, რათა გარდა სასარგებლო ინფორმაციების მიღებისა და ერთმანეთისთვის

საკუთარი გამოცდილების გაზიარებისა, ექნებათ განტვირთვისა და თვითშეფასების ამაღლების შესაძლებლობა.

- **ინფორმაცია პრაქტიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):
  ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;

პროექტის შედეგად ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დაინერგა ოჯახის მხარდამჭერი ახალი მომსახურება, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი განყოფილების გაძლიერებას პრევენციული მუშაობის მიმართულებით. პროექტის მნიშვნელოვანი შედეგი იყო მშობლებთან ემოციური კავშირის დამყარება და მშობლობასთან დაკავშირებული გამოწვევების და მათი წარმომშობი მიზეზების გაანალიზება.

9. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდებულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული არ ყოფილა იმ მიზეზით, რომ მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო 2024 წლის თებერვალში, როცა ყველა ოფიციალური დოკუმენტი უკვე დამტკიცებული იყო და ასევე, აღნიშნული ინიციატივა ხორციელდებოდა საპილოტე რეჟიმში, თუმცა განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია ასახულია მერის ყოველწლიურ ანგარიშში, რომელიც წარედგინება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია შეტანილი იქნება ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობარივი და დევნილი) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის დადგენილებაში.

მშობლების გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებები შეტანილი იქნება მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2024-2025 წლის სამუშაო გეგმაში.

10. პრაქტიკასთან/ინიციატივასთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

მშობლობასთან დაკავშირებული გამოწვევების აქტუალობამ და მონაწილეებისგან მიღებულმა პოზიტიურმა უკუკავშირმა დაგვანახა მოდულის დანერგვის და გაგრძელების აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, მ/წლის ნოემბრიდან უკვე დაწყებულია ტრენინგის რიგით მეორე ციკლი მშობლების ახალ ჯგუფთან. სამომავლოდ, აღნიშნული მოდული განხორციელდება სისტემატურად, წელიწადში ორჯერ.

ასევე, ტრენინგის მიმდინარეობისას გამოიკვეთა მშობელთა ინტერესი სხვადასხვა აქტუალურ თემებთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც მომავალში ბავშვთა განყოფილება გეგმავს შეხვედრებს დარგის სპეციალისტებთან.

11. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);

- **ია ეხვაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი; ტელ: 595221508; ia.ekhvaia@zugdidi.gov.ge

- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

- **მაია მამფორია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკი; ტელ: 591221800, maia.mamporia@zugdidi.gov.ge

- **ნინო სხულუხია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი; ტელ: 591445320; nino.sxuluxia@zugdidi.gov.ge

12. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;

გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

1. **ტრენინგის პრე და პოსტ-ტესტები;**
2. **უკუკავშირის ფორმა**
3. **ფასილიტატორის ანგარიში;**
4. **ტრენინგების ამსახველი ფოტო მასალა;**
5. https://www.facebook.com/photo/?fbid=851960873638655&set=pcb.851961523638590

განაცხადის მიღების ვადაა - 2024 წლის 20 ნოემბერი

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

*** შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 595 57 77 34 nzurabishvili@nala.ge ან ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge